ევროკავშირი საქართველოსთვის



მცირე ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში შემოსული კითხვები და პასუხები

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

ბიზნეს გრანტების კონკურსში ბიუჯეტი ლარში უნდა იყოს წარმოდგენილი, თუევროში?

საგრანტო კონკურსის წესების თანახმად, ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ევროში.

საგრანტო კონკურსის პირობებში რაიგულისხმება დადასტურებულ მჭიდრო კავშირად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან?

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან დადასტურებულ მჭიდრო კავშირად აღიქმება ის გარემოება ან გარემოებები, რომელიც აკავშირებს განმცხადებლის გრძელვადიან ინტერესს მხარის განვითარების მიმართ. ეს გარემოებები განმცხადებელმა უნდა აღწეროს განაცხადის ფორმაში მოცემულ შესაბამის გრაფაში.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში მოქმედი მცირე სამეწარმეო საქმიანობა თუ არის საკმარისი პირობა მხარესთან მჭიდრო კავშირის დასადგენად?

დიახ, ადგილზე მოქმედი სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს მხარესთან მჭიდრო კავშირის დასტურს.

მიწა, რომელზეც მინდა ბიზნეს პროექტის განხორციელება არის ოჯახის წევრის (ან სხვა პირის) საკუთრებაში. რამდენად შესაძლებელია ამ მიწის გამოყენება ბიზნეს პროექტის განხორციელებისთვის?

შესაძლებელია სხვა პირის საკუთრებაში არსებული მიწის გამოყენება ბიზნეს პროექტის განხორციელებისთვის, თუ განაცხადის ეტაპზე გაქვთ ამ პირისგან შესაბამისი თანხმობა, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში მესაკუთრესთან გააფორმებთ შესაბამის ხელშეკრულებას მიწის გამოყენების თაობაზე. დეტალური პირობები მოცემულია საგრანტო კონკურსის განცხადებაში.

მაქვს მეღვინეობა, მინდა გავფართოვდე და მივცე საქმიანობას მეტად კომერციული სახე, შევიძინო ღვინის წარმოებისთვის დანადგარები, ავზები და ა.შ. რამდენად შეიძლება დაფინანსდეს მსგავსი ბიზნეს პროექტი?

მსგავსი ბიზნეს პროექტი შესაძლებელია, მოხვდეს საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთში მაინც. რაც შეეხება დანადგარების, ავზებისა და ბიზნეს საქმიანობისთვის სხვა გრძელვადიანი გამოყენების საგნების შეძენას, ისინი წარმოადგენენ ძირითად საშუალებებს და მათი გათვალისწინება ბიუჯეტში დასაშვებია.

თუ არის შესაძლებელი პროდუქტის ბიოსერთიფიცირების, ბრენდირების და შეფუთვის დაფინანსება?

დიახ, მსგავსი დანახარჯების დაფინანსება შესაძლებელია. აქვე გასათვალიწინებელია, რომ შეფუთვის კუთხით დასაშვებ დანახარჯად შეიძლება ჩაითვალოს შესაფუთი მოწყობილობა, შეფუთვის დიზაინი, თუმცა, არა უშუალოდ ის მასალები, რითაც შეფუთვა მოხდება.

გრანტის თანხის გამოყენება თუ არის შესაძლებელი მშენებლობისა და რემონტისთვის?

თუ მშენებლობა-რემონტი მოიაზრებს ისეთ საქმიანობას, რომელიც ჯდება საგრანტო კონკურსის პრიორიტეტულ მიმართულებებში, მისი გათვალისწინება დასაშვებია ბიუჯეტში.

ვარ მცირე მეწარმე, უკვე მიღებული მაქვს „აწარმოე ქართული“-ს ფარგლებში დაფინანსება, თუ შეიძლება რომ გავაკეთო განაცხადი საგრანტო კონკურსში?

შეიძლება იმ პირობით, თუ მიმდინარე საგრანტო კონკურსის ფარგლებში ზუსტად იმავე ძირითადი საშუალებების დაფინანსებას არ ითხოვთ, რაც მოთხოვნილი იყო „აწარმოე საქართველოს“ ან ნებისმიერი სხვა დამფინანსებლისგან.

შეიძლება თუ არა სამშენებლო მასალების შეძენა როგორც ახალი კოტეჯის ასაშენებლად ან არსებულის უზრუნველყოფა ავეჯითა და ტექნიკით?

საგრანტო კონკურსის პირობებით დასაშვებია მსგავსი ხარჯების გათვალისწინება. თუმცა, თუ მშენებლობა მოიაზრება, გათვალისწინებული უნდა იყოს ნებართვებთან დაკავშირებული რეგულაციები, პროექტის განხორციელების ვადები და, ასევე, ის მოთხოვნა, რომ პროექტის განხორციელების შედეგად ბიზნესს უნდა შეეძლოს ფუნქციონირების დაწყება; მაგალითად, თუ კოტეჯს ააშენებთ, პროექტის ფარგლებში ის ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს მიყვანილი, რომ ამ კოტეჯით შემოსავლის მიღება შესაძლებელი იყოს პროექტის განხორციელების შედეგად.

შეიძლება თუ არა რომ თანამონაწილეობის თანხა იყოს „აწარმოე საქართველოს“ შეღავათიანი სესხი?

დიახ, დასაშვებია, რომ თანამონაწილეობის თანხა იყოს „აწარმოე საქართველოს“ შეღავათიანი სესხი, ან სხვა წყაროდან მიღებული თანხა.

თანამონაწილეობის თანხა რამდენიამცირე ბიზნეს გრანტების შემთხვევაში?

თანამონაწილეობისთვის დადგენილია მოთხოვნილი გრანტის მინიმუმ 15% და მაქსიმუმ 100% ოდენობა. შესაბამისად, თუ გრანტის სახით ითხოვთ 3,000 ევროს, მინიმალური თანამონაწილეობა უნდა იყოს 450 ევრო.

როდის იგეგმება გამარჯვებულების გამოვლენა, ხელშეკრულების გაფორმება და თანხების ჩარიცხვა?

მცირე ბიზნეს გრანტების კონკურსის შედეგების გამოცხადება იგეგმება 2025 წლის 31 მარტამდე, ხოლო ხელშეკრულებების გაფორმება და პირველი ტრანშის ჩარიცხვა მოხდება 2025 წლის აპრილში.

თანადაფინანსებაში შეიძლება თუ არაჩაითვალოს რაიმე საშუალებების ფლობა?

არა, საგრანტო კონკურსით გათვალისწინებულია მხოლოდ ფულადი თანამონაწილეობა და თანხის დახარჯვა უნდა მოხდეს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. შესაბამისად, მანამდე საკუთრებაში არსებული საგნები არ ჩაითვლება თანამონაწილეობად.

დაფინანსდება თუ არა უკვე არსებულ კოტეჯთან მისასვლელი გზის მოწყობა, ქვით მოპირკეთება?

საგრანტო კონკურსის წესებით, შესაძლებელია კოტეჯთან მისასვლელი გზის მოწყობა, თუ ის განმცხადებლის საკუთრებაშია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელს დაჭირდება საფუძვლიანად იმის დასაბუთება, თუ რამხელა გავლენას მოახდენს მსგავსი გზის მოწყობა ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

დაფინანსდება თუ არა უკვე არსებულ კოტეჯთან მისასვლელი გზის მოწყობა, ქვით მოპირკეთება?

საგრანტო კონკურსის წესებით, შესაძლებელია ბიუჯეტში კოტეჯთან მისასვლელი გზის მოწყობის გათვალისწინება, თუ ის განმცხადებლის საკუთრებაშია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელს დაჭირდება საფუძვლიანად იმის დასაბუთება, თუ რამდენად დიდ გავლენას მოახდენს მსგავსი გზის მოწყობა ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

რაგულისხმობს მონიტორინგისპროცესი განაცხადების განხილვის ეტაპზე?

განაცხადების ეტაპზე მონიტორინგის პროცესი გულისხმობს პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ გუნდის მიერ იმ ადგილის დათვალიერებას, სადაც პროექტი უნდა განხორციელდეს, რათა დარმწუნდნენ, რომ განაცხადში მოცემული გარემოებები რეალობის შესაბამისია.

გრანტის თანხიდან შეიძლება თუა რა ხელფასების/მომსახურების ხარჯების უზრუნველყოფა?

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასი/ მომსახურების ხარჯი პირდაპირ არის დაკავშირებული ძირითადი საშუალების შექმნასთან. თუ ხელფასი/ მომსახურების ხარჯი ბიზნესის საქმიანობისთვის (ოპერირებისთვის) არის გათვალისწინებული, მსგავსი ხარჯის საგრანტო განაცხადის ბიუჯეტში გათვალისწინება დაუშვებელია.

შესაძლებელი თუა არა არსებული საოჯახო სასტუმროს გაფართოების (ოთახების დამატება) მიზნით განაცხადის გაკეთება?

შესაძლებელია, თუ გაფართოება რეალურ გავლენას ახდენს ბიზნესის შედეგებზე (შემოსავლებსა და მომგებიანობაზე)

არის თუ არა აქტივები ძირითადი საშუალება?

ბიზნესის ყველა აქტივი არ წარმოადგენს ძირითად საშუალებას; მხოლოდ გრძელვადიანი აქტივებია ძირითადი საშუალებები.

შეიძლება თუ არა მეორადი ტექნიკის შეძენა?

შესაძლებელია მეორადი ტექნიკის შეძენა. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ბიზნეს პროექტის განმახორციელებელს მოუწევს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რის შესახებაც გამარჯვებული განმცხადებლები მიიღებენ დეტალურ კონსულტაციას ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.